დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

კოლეჯი შპს ორიენტირი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:
თავმჯდომარე: შორენა ალაგარდაშვილი
წევრები: შოთა კოჩაძე (დარგის ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი
I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ორიენტირი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 200011904

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 8 ივნისის №683676 ბრძანების საფუძველზე 2026 წლის 22 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს ორიენტირში (ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26) „ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. შპს ორიენტირს ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, ხოლო ამჯერად კოლეჯი ითხოვს „ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას სტუდენტთა ზღვრული ოდენობით 40. ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა გასვლა პრაქტიკის ობიექტზე სს „ენერგო-პრო ჯორჯიაში", სადაც ექსპერტებმა დაათვალიერეს ფიზიკური სივრცე და ჩაატარეს ინტერვიუ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი საკითხები დეტალურად აღწერილია შესაბამის ინდიკატორებთან.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა რეკომენდაცია

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 ინდიკტორთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კოლეჯს შემენილი აქვს პროგრაა ,,ელექტროობის" მოდულების („ელექტროსამონტაჟო სამუშაოები", „ელექტრული წრედები") განხორციელებისთვის საჭირო სამონტაჟო დაფა (ფანერა ან სხვა შესაბამისი ხის მასალა). სასურველია, დაფა კედელზე დამონტაჟდეს და სასწავლო პროცესისთვის მზად იყოს, რაც პრაქტიკული სწავლების ეფექტიან განხორციელებას შეუწყობს ხელს.
2.2.1.3 ინდიკატორთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელი დარგობრივი მოდულების მასწავლებლების ნაწილი ფლობს შესაბამის დარგობრივ განათლებასა და კომპეტენციას, თუმცა სწავლებისა და შეფასების მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილება ეტაპობრივად ყალიბდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია პერსონალის განვითარების გეგმაში უფრო მკაფიოდ აისახოს სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით პროფესიული განვითარების მიზნობრივი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პრაქტიკული გამოცდილების გაძლიერებას და პროგრამის ეფექტიან განხორციელებას.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ, 2026 წლის 7 ივლისის №00013145 წერილით, ცენტრს წარმოუდგინა არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2026 წლის 29 ივნისს წარდგენილ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. დაწესებულებამ დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს დაეთანხმა, გარდა 2.2.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებული ერთი ფაქტობრივი გარემოებისა, კერძოდ, მიუთითა, რომ ელექტროობის მოდულებისთვის („ელექტროსამონტაჟო სამუშაოები", „ელექტრული წრედები") განკუთვნილი სამონტაჟო დაფა (ფანერა ან ხის მასალა) წარმოადგენს პროგრამის დანართი №16-ით განსაზღვრული მატერიალური რესურსების ჩამონათვალის „მასალისა და ნედლეულის" ნაწილს, რაც პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კოლეჯს არ ევალება ჰქონდეს პროგრამის განხორციელების დაწყებამდე და მისი უზრუნველყოფა განხორციელდება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში/Basic Vocational Qualification in Electricity
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს ორიენტირის დირექტორის 2026 წლის 22 მაისის №9566 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, ც.დადიანის ქ. N26
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას მისიისა და სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებთან თანხვედრილი და დასაბუთებული მიდგომით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესაძლებლობა განსაზღვრულია როგორც ნორმატიულ, ისე სტრატეგიულ დონეზე. დაწესებულების მისია უკავშირდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი, კვალიფიციური, კომპეტენტური, პასუხისმგებლიანი და კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსის მომზადებასა და მათი დასაქმების ხელშეწყობას. ამავე მისიურ ჩარჩოში კოლეჯი ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებაზე, რაც ქმნის საფუძველს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნობრიობის შეფასებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, დაწესებულების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო მომსახურებისა და პროგრამების განვითარება. დოკუმენტში ცალკე ამოცანად არის ასახული ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზისა და დამსაქმებელთა ჩართულობის გათვალისწინებით, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღნიშნული მიმართულება ოპერაციულ დონეზეა გაწერილი და მოიცავს მინიმუმ ერთი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას, პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის კვლევას, სამუშაო ჯგუფის შექმნას, ასევე პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსების მოძიებასა და უზრუნველყოფას. აღნიშნული მიუთითებს, რომ პროგრამის დამატება დაწესებულებისთვის არ წარმოადგენს ერთჯერად ინიციატივას და იგი განიხილება როგორც ინსტიტუციური განვითარების თანმიმდევრული სტრატეგიის ნაწილი.

ამასთან, კოლეჯში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების წესი ადგენს, რომ ახალი პროგრამის ინიცირება უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ გეგმას და უნდა ეფუძნებოდეს შრომის ბაზრის საჭიროებების ანალიზს, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს, ასევე შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასებას. დოკუმენტების ანალიზით იკვეთება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობის" დამატების აუცილებლობა ეროვნულ დონეზე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თანხვედრაშია. წარმოდგენილი პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტი ადასტურებს ტექნიკურ და ენერგეტიკულ მიმართულებებზე კვალიფიციური კადრების მოთხოვნას, მათ შორის ენერგეტიკის სექტორში კადრების დეფიციტს. სამშენებლო სექტორის ზრდა: საცხოვრებელი კომპლექსების, კომერციული ობიექტების, სასტუმრო ინფრასტრუქტურისა და ბიზნეს ცენტრების მშენებლობა, პირდაპირ ზრდის მოთხოვნას შიდა ელექტრო გაყვანილობის სპეციალისტებზე, დაბალი ძაბვის სისტემების მონტაჟისტებზე და უსაფრთხოების სისტემების ტექნიკოსებზე. ასევე, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები: განახლებადი ენერგიის, მზის ელექტროსადგურების, ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურისა და ჭკვიანი ქსელების მიმართულებით, ქმნის საფუძველს დასკვნისთვის, რომ ელექტროობის მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა მომზადება პასუხობს ქვეყნის მასშტაბით არსებულ და მოსალოდნელ მოთხოვნას.

აღნიშნულს ადასტურებს კოლეჯის ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუც. ხარისხის და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელების განცხადებით, პროგრამის დამატების პროცესზე მუშაობისას მათ მოიძიეს და შეისწავლეს ყველა ხელმისაწვდომი წყარო: სტატისტიკური მონაცემები, დარგობრივი ანგარიშები, შრომის ბაზრის კვლევები, იმ მიზნით, რომ დაესაბუთებინათ ელექტროობის კვალიფიკაციის სფეროში კადრების მომზადების საჭიროება. პროგრამის საჭიროების დადასტურების შემდეგ კოლეჯმა მიზნობრივად მოიძია დარგის სპეციალისტები პროფესიული განათლების მასწავლებლები და პრაქტიკოსი კადრები, რომლებსაც გააჩნდათ ელექტროტექნიკური სფეროს შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება. სწორედ მათთან ერთობლივი მუშაობის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის შემდგომი შემუშავება, მათ შორის სასწავლო რესურსების განსაზღვრა, მოძიება და უზრუნველყოფა, რაც უზრუნველყოფდა, რომ პროგრამის შინაარსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თავიდანვე დარგის რეალურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში ყოფილიყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.1.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება, ხოლო ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და მოიცავს რეგისტრაციის, შერჩევის, ჩარიცხვისა და სტატუსის მინიჭების ეტაპებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულია პროფესიის მოსინჯვა და შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები, რაც ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წესი ორიენტირებულია აპლიკანტის შესაძლებლობების პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულებაში დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების ორგანიზების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. აღნიშნული მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასწავლო გარემოს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანურ რესურსს, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობებსა და პროგრამის ორგანიზების თავისებურებებს. სწორედ ამ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით არის განსაზღვრული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“-ზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი სასწავლო გარემოები, მათ შორის სპეციალიზებული სასწავლო სივრცეები, კომპიუტერული რესურსები, თითოეული მოდულის განხორციელებაში ჩართული სათანადო კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი და პრაქტიკული სწავლების მხარდამჭერი პარტნიორული შესაძლებლობები. ამავე დასაბუთების მიხედვით, კოლეჯი პროგრამის ფარგლებში ითვალისწინებს 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას, 20-20 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ორი ჯგუფის ფარგლებში. შესაბამისად, ინდიკატორის ფარგლებში დასტურდება, რომ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის საკითხი დაწესებულებაში რეგულირდება შიდა მეთოდოლოგიით და აღნიშნული მიდგომა გამოყენებულია კონკრეტულად პროგრამა „ელექტროობა“-ს მიმართაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ და მისი დანართები მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო რესურსების, აღჭურვილობის, მასალებისა და ნედლეულის ჩამონათვალს. პროგრამით განსაზღვრულია შესაბამისი სასწავლო გარემოები (B და A-C), ხოლო მატერიალური რესურსების დანართში მოდულების მიხედვით არის გაწერილი ის ინვენტარი, აღჭურვილობა და მასალები, რომლებიც საჭიროა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შინაარსობრივად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და მოდულების სპეციფიკას. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს ისეთ საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც საჭიროა CAD-ის გამოყენებით ნახაზის შესრულებისთვის, ელექტრული წრედებისა და ტექნოლოგიის შესწავლისთვის, ელექტროსამონტაჟო სამუშაოების განსახორციელებლად, შრომის უსაფრთხოების დაცვისთვის და პირველადი გადაუდებელი დახმარების უნარების გამოსამუშავებლად. შესაბამისად, დასტურდება, რომ პროგრამა ითვალისწინებს იმ რესურსებს, რომლებიც აუცილებელია პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული არჩევითი მოდული, შესაბამისად, პროგრამის შინაარსი სრულად ეფუძნება სავალდებულო სასწავლო კომპონენტებს.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის არჩევითი მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

დაწესებულებაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესის“ მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კოლეჯის დირექტორი, რომელიც პროგრამის პროექტს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე ამტკიცებს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შპს „ორიენტირის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 22 მაისის №9566 ბრძანებით, თანდართული დანართების შესაბამისად. შესაბამისად, დასტურდება, რომ პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ შიდა მარეგულირებელი წესით განსაზღვრული პროცედურის დაცვით.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ელექტროობა“ – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, დასაქმების სფეროებთან და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის დოკუმენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების შინაარსი პირდაპირ უკავშირდება ელექტროობის სფეროსათვის დამახასიათებელ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ელექტროობა“-ს საფუძველზე, სარეგისტრაციო ნომრით 07.24.1. პროგრამის ძირითად დოკუმენტში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები, შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, პროგრამის მოცულობა, ხანგრძლივობა, დასაქმების შესაძლებლობები და სხვა აუცილებელი პროგრამული მახასიათებლები.

ამასთან, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, ზოგად და პროფესიულ მოდულებს, სასწავლო გეგმას როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების წესი დამატებით განსაზღვრავს პროგრამის შემუშავების პროცედურულ საფუძვლებს, რაც ადასტურებს, რომ პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.8.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის "ელექტროობა“ მიხედვით, შპს ორიენტირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ელექტროობა“ შემუშავების დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის მიერ, პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება
- ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაცია).

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა" უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40 პროფესიული სტუდენტით, ორ ჯგუფად, თითოეულში 20 სტუდენტი. შესაბამისი დოკუმენტებით პროგრამისთვის იდენტიფიცირებულია სასწავლო გარემოები და რესურსები, მათ შორის A, B და C გარემო, აგრეთვე პროგრამის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, პროგრამული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფა, ელექტროტექნიკური და ელექტროსამონტაჟო ინვენტარი, დამცავი და სახარჯი მასალები რაც დადასტურდა კოლეჯის მიერ ვიზიტის დროს წარმოგენილი შესყიდვის დოკუმენტებით.
სწავლებისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს:

- A და C სასწავლო გარემო (აუდიტორია N4 C გარემო ელექტროობის პროგრამის ლაბორატორია) გამოყენებულია მხოლოდ „ელექტროობის" პროგრამისთვის, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. გარემო გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებითა და სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, დემონსტრირების საშუალებითა და პრინტერით.
- B სასწავლო გარემო (აუდიტორია N13) გამოყენებულია „ინფორმაციული წიგნიერების" მოდულისა და „ელექტროობის სისტემის ნახაზის შესრულება CAD-ის გამოყენებით" მოდულის განსახორციელებლად. გარემოში განთავსებულია 21 კომპიუტერი, მათგან 10 კომპიუტერი AutoCAD პროგრამული უზრუნველყოფით, რაც ოპტიმალურად უზრუნველყოფს ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის ჩართულობას სასწავლო პროცესში, ასევე A3 ფორმატის პრინტერი. B გარემო ემსახურება კოლეჯის სხვა ავტორიზებულ პროგრამებსაც. კოლეჯში ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა B სასწავლო გარემოს სტუდენტთა გამტარიანობის ცხრილი, რომლითაც დადასტურდა, რომ კოლეჯს შეუძლია ერთდროულად უზრუნველყოს B გარემოს ყველა არსებული პროგრამისთვის მიზნობრივი გამოყენება შეფერხების გარეშე.
- C სასწავლო გარემო განკუთვნილია **„პირველადი გადაუდებელი დახმარების"** მოდულის განსახორციელებლად. აღნიშნული C გარემო გამოიყენება კოლეჯის სხვა პროგრამის ფარლგებშიც (მასაჟის თერაპია - პირველადი გადაუდებელი დახმარება), და ორივე პროგრამის ფარგლებშიც სივრცით სარგებლობას კოლეჯი უზრუნველყოფს მოქნილი სასწავლო პროცესით (სასწავლო ცხრილი).

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის დამატების განაცხადის დანართი №16-ით განსაზღვრული მატერიალური რესურსების ადგილზე გადამოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა სასწავლო გარემოებში ვიზუალურად დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული რესურსები და გადაამოწმა მათი რაოდენობა. დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ წარმოდგენილი მატერიალური რესურსები რაოდენობრივად და შინაარსობრივად შეესაბამება დანართი №16-ით წარმოდგენილ მატერიალური რესურსების ცხრილსა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესყიდვის დოკუმენტაციას. შესაბამისად, A, B და C სასწავლო გარემოები უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. მხოლოდ ერთსაკითხთან დაკავშირებით დარგის ექსპერტის მიერ აღინიშნა, რომ ელექტროობის მოდულებისთვის (ელექტროსამონტაჟო სამუშაოები; ელექტრული წრედები) სამონტაჟო დაფა (ფანერა ან ხის მასალა) უნდა იყოს დამონტაჟებული კედელზე და გამზდებული, აღნიშნული რესურსი კოლეჯს შემენილი აქვს მაგრამ არ ჰქონდა განთავსებული პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოდგენილი მასალები ქმნის დასაბუთებულ საფუძველს დასკვნისთვის, რომ პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი დოკუმენტურად განსაზღვრულია და ფაქტობრივადაც ფლობს კოლეჯი. შესაბამისად, დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აღჭურვილობით შესაძლებელია სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობით. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით ორ ცვლაში შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი) მომზადების ერთდროულად გატარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობის“ განხორციელებისთვის განსაზღვრულია მასწავლებელთა ისეთი რაოდენობა და ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დანართი 2-ის მიხედვით, თითოეულ მოდულზე იდენტიფიცირებულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი, ხოლო პროგრამაში სულ ჩართულია 17 სხვადასხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი/განმახორციელებელი. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ამასთან, ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტით დადასტურებულია, რომ სასწავლო გეგმა და საათობრივი დატვირთვა ისეა ორგანიზებული, რომ მაქსიმუმ 36-საათიანი კვირეული დატვირთვის ფარგლებში შესაძლებელი იყოს ორი 20-კაციანი ჯგუფის შეუფერხებელი სწავლება. შესაბამისად, მასწავლებელთა რაოდენობა და პროგრამის ორგანიზაციული დაგეგმვა ქმნის პროგრამის განხორციელების მდგრადობის საკმარის საფუძველს.

ამდენად, დაწესებულება შესაბამისობაშია 2.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

კოლეჯში ვიზიტის დროს განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლა. პირადი საქმეები მოიცავს პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომებსა და სერტიფიკატებს, რომელთა საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება შპს „ორიენტირის" დირექტორის 2024 წლის 9 სექტემბრის №00012119 ბრძანებით დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით დადგენილ სტანდარტებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები და ტრენინგები, როგორც დარგობრივი კომპეტენციის, ასევე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. ამასთან, დგინდება, რომ დარგობრივი მოდულების მასწავლებელთა ნაწილი ფლობს შესაბამის დარგობრივ განათლებასა და კომპეტენციას, თუმცა სწავლებისა და შეფასების მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილება ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. კოლეჯის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და წარმოდგენილია პერსონალის განვითარების გეგმა.

ამავდროულად, კონკრეტულად „ელექტროობის“ პროგრამის განმახორციელებელი ახალი დარგობრივი მასწავლებლებისთვის სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით გამოცდილების ეტაპობრივი გაძლიერება დამატებით შეუწყობდა ხელს პროგრამის გრძელვადიან მდგრად და ეფექტიან განხორციელებას.

ამდენად, დაწესებულება შესაბამისობაშია 2.2.1.3. ინდიკატორის მოთხოვნასთან, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა" უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელით, რომელიც ამავდროულად პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელია.
ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ იგი არის შესაბამისი გამოცდილების მქონე სპეციალისტი, რომელიც კარგად იცნობს საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს, არის მოტივირებული და სიახლეების დანერგვაზე ორიენტირებული. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სხვა კოლეჯებშიც ახორციელებს მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სწავლებას, რაც მის ფართო პედაგოგიურ გამოცდილებაზე მიუთითებს.
პირადი საქმის შესწავლით გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გავლილი აქვს სწავლა-სწავლებისა და შეფასების მიმართულებით არაერთი გადამზადება და ტრენინგი, რაც ადასტურებს, რომ მას გააჩნია პროგრამის შეფასების, განვითარებისა და სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში ჩართულობისთვის საჭირო კომპეტენცია და გამოცდილება.
დარგობრივი კომპეტენციის კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იგი არის არაერთი სახელმძღვანელოს ავტორი და მის ავტორობით შემუშავებულია ციფრული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც გამოყენებული იქნება შპს „ორიენტირის" პროგრამისთვისაც. პროგრამების შინაარსი მოიცავს: ლაბორატორიების სიმულაციური პროცესების გაანგარიშებას (კირხოფის კანონი, ჯოულ-ლენცის კანონი და ელექტროობის სხვა ძირეული პრინციპები), ელექტროობის საწყისებს (7 ლაბორატორია ამოცანების სახით, პლატების აწყობა სიმულაციური მეთოდით და გაანგარიშება) და ვიზარდის სიმულაციურ პროგრამას. აღნიშნული ადასტურებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არა მხოლოდ ფლობს დარგობრივ კომპეტენციას, არამედ აქტიურად მონაწილეობს სწავლების თანამედროვე, ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მეთოდების განვითარებასა და დანერგვაში.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან ჩატარდა გასაუბრება. დაწესებულებას სასწავლო რესურსი აქვს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. ექსპერტთა მიერ ვიზუალურად შემოწმდა ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია კომპიუტერები, სამკითხველო მაგიდები და პრინტერი.საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია რამდენიმე არხით: დაწესებულებას გააჩნია ბიბლიოთეკის ელექტრონული პორტალი (კოლეჯის ვებგვერდზეა ჩაშენებული), რომელზეც პროფესიულ სტუდენტს პირადი ნომრის გამოყენებით შეუძლია წვდომა კოლეჯის სივრცის გარეთაც, ნებისმიერ დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამდენად, დაწესებულება შესაბამისობაშია 2.2.1.5. ინდიკატორის მოთხოვნასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თავი IV. სასწავლო პროცესის მართვა, მუხლი 48. ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფა ადგენს, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, რაც გულისხმობს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნას: სასწავლო ფართის სრულად ადაპტირებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სპეციალისტების, ასისტენტების, ჟესტური ენის თარჯიმნებისა და სპეციალური ასისტენტების უზრუნველყოფას. ხოლო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების კონკრეტული პროცედურები განსაზღვრულია იმავე წესის თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, მუხლი 6-ით, რომელიც არეგულირებს სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა კოლეჯის სპეციალური მასწავლებლის პირადი საქმე და ჩატარდა მასთან გასაუბრება, რომლის შედეგადაც დადასტურდა, რომ კოლეჯს გააჩნია სათანადო ადამიანური რესურსი ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად. კოლეჯს გააჩნია სრული მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და განახორციელოს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესი.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. საპროგნოზო ბიუჯეტში შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია სტუდენტთა ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო ხარჯების ნაწილში ასახულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ხარჯები, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება, ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯი, კომუნალური და სარეკლამო ხარჯები, სასწავლო მასალების შეძენა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

საპროგნოზო ბიუჯეტის ანალიზით დგინდება, რომ პროგრამის განხორციელებიდან მისაღები სავარაუდო შემოსავალი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვას, რაც ადასტურებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობასა და განხორციელების შესაძლებლობას. ვიზიტის დროს დამატებით შესწავლილ იქნა კოლეჯის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულება და 2026 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებმაც ერთობლივად დაადასტურა კოლეჯის საერთო ფინანსური მდგრადობა და ახალი პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების ფინანსური შესაძლებლობა.

ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი (პროგრამა „ელექტროობა" და დანართები, მათ შორის მატერიალური რესურსების დანართი)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება (№9566, 2026 წლის 22 მაისი)
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი
- შპს „ორიენტირის" საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების ბრძანება (№00012119, 2024 წლის 9 სექტემბერი)
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები
- პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა
- B სასწავლო გარემოს სტუდენტთა გამტარიანობის ცხრილი
- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი
- კოლეჯის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულება და 2026 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები (სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა)
- ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელი, სპეციალური მასწავლებელი, ბიბლიოთეკარი)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა, რომელიც განსაზღვრულია ორი ურთიერთშემავსებელი დოკუმენტით: „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების წესით" და შპს „ორიენტირის" დირექტორის 2026 წლის 28 აპრილის №00007275 ბრძანებით დამტკიცებული „კვლევის ჩატარების სახელმძღვანელოთი".

წესის მუხლი 5-ის თანახმად, პროგრამის შეფასების მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფა და განვითარება, ხოლო შეფასების შიდა მექანიზმი ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. შეფასების პროცესი მოიცავს წინასწარ შემუშავებული კითხვარებით გამოკითხვებს, მოდულების განხორციელების პროცესზე დაკვირვებას, სასწავლო და ტექნიკური საშუალებების შესაბამისობის შეფასებას, ასევე პირისპირ ინტერვიუებს პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებთან და სტუდენტებთან.

კვლევის სახელმძღვანელო ადგენს 7 ტიპის კვლევის ჩატარების წესსა და პერიოდულობას. კვლევების სამიზნე აუდიტორია მოიცავს კოლეჯის შიდა (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელები, ადმინისტრაციული პერსონალი, კურსდამთავრებულები) და გარე (დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტები) დაინტერესებულ მხარეებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დამსაქმებელთა გამოკითხვა მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის პერიოდულ გადამოწმებას, რაც პროგრამის შეფასების მექანიზმში შრომის ბაზრის მოთხოვნების ინტეგრირებას უზრუნველყოფს. კვლევების მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივი კვლევის მეთოდს, წინასწარ შემუშავებულ სტრუქტურირებულ კითხვარებს ღია და დახურული კითხვებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს თვისებრივი კვლევის მეთოდსაც, კერძოდ ფოკუს ჯგუფის ჩატარებას.
კვლევის შედეგების ანალიზზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს და შედეგებს აცნობს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. კვლევის შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ხოლო შესაბამისი პირები ახორციელებენ რეაგირებას და შედეგებს ანგარიშის სახით წარუდგენენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. კვლევა რეგულარულ ხასიათს ატარებს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს გამოვლენილ პრობლემებზე რეაგირების ეფექტურობა. კვლევის შედეგებზე რეაგირება ვრცელდება კვლევაში მონაწილე ყველა დაინტერესებულ მხარეზე, რაც ხელს უწყობს რესპონდენტების მომავალ კვლევებში ჩართულობის მოტივაციასა და კვლევის ხარისხის ამაღლებას.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა კოლეჯის პრაქტიკა სხვა პროგრამებთან მიმართებით, გამოთხოვილ იქნა პროგრამის შეფასების შედეგები კოლეჯის სხვა პროგრამების ფარგლებში, თუმცაღა დაწესებულების მიერ მოხდა განმარტება რომ თითოეული პროგრამის შეფასება საჭიროებს რა კურსდამთავრებულთა კვლევის მონაცემებს 12 და 36 თვიან ჭრილში, ჯერ არცერთი პროგრამის შეფასების პროცესი არ ჰქონდათ დასრულებული.

ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოყენების მექანიზმი. შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაცია მუშავდება და განიხილება შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და სტრუქტურული ერთეულების მიერ, რის საფუძველზეც ხდება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება.ანალიზის შედეგების საფუძველზე ხორციელდება რეკომენდაციების შემუშავება და პროგრამის განვითარების დაგეგმვა. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ცვლილებების განხორციელებას დადგენილი პროცედურების შესაბამისად. პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება შეფასების შედეგების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნების, საკანონმდებლო ცვლილებებისა და სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს მონაცემების შეგროვებას, ანალიზს, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენას, რეკომენდაციების შემუშავებასა და ცვლილებების დაგეგმვას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამოთხოვილ იქნა პროგრამის შეფასების შედეგები კოლეჯის სხვა პროგრამების ფარგლებში, თუმცა დაწესებულების მიერ მოხდა განმარტება, რომ თითოეული პროგრამის შეფასება საჭიროებს კურსდამთავრებულთა კვლევის მონაცემებს 12 და 36 თვიანი ჭრილში, ჯერ არცერთი პროგრამის შეფასების პროცესი არ ჰქონდათ დასრულებული.

ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- კვლევის სახელმძღვანელო
- ინტერვიუს შედეგები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურირება, მართვა და რეალიზება მიმდინარეობს დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების, შეცვლის და გაუქმების წესისა“ და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ სრული დაცვით. აღნიშნული ნორმატიული ბაზა განსაზღვრავს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულებისა და კრედიტების ურთიერთთავსებადობას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ორი ალტერნატიული სასწავლო გეგმა (დანართი 1): 1. სასწავლო გეგმა პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია; 2. სასწავლო გეგმა იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია და საჭიროებენ ქართული ენის მოდულის ინტეგრირებას. ორივე დოკუმენტში მკაცრად არის გაწერილი მოდულების თანმიმდევრობა, კალენდარული კვირები (I და II სასწავლო წელი), თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების საათობრივი ბალანსი, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის დრო, აგრეთვე მოდულების წინაპირობები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 42-ე მუხლის (ანალოგიურად 50-ე მუხლის) თანახმად, ყოველი კონკრეტული მოდულის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიმუშავებს მოდულის განხორციელების კალენდარულ გეგმას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს. სასწავლო განრიგის (ცხრილის) საჯაროობა უზრუნველყოფილია მისი თვალსაჩინო ადგილზე განთავსებით და პროფესიული სტუდენტებისთვის ციფრული არხებით მიწოდებით.დოკუმენტური შემოწმებით დასტურდება, რომ კოლეჯს გააზრებული აქვს მოდულების ლოგიკური ბმები და გააჩნია ადმინისტრაციული და აკადემიური მზაობა, რათა პროგრამის განხორციელება წარიმართოს დამტკიცებული სასწავლო გეგმების დაცვით.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.1 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

შპს „ორიენტირში“ სასწავლო პროცესის ორგანიზება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შემდეგი კონკრეტული მექანიზმები:

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის, აგრეთვე აკადემიური ჩამორჩენის მქონე, სტატუსაღდგენილი ან მობილობით გადმოსული პირებისათვის, წესის შესაბამისად, დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. იგი მორგებულია სტუდენტის საჭიროებებს, ითვალისწინებს მოდულების განრიგის ცვლილებას, თუმცა სრულად ინარჩუნებს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და კრედიტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო განრიგი (ცხრილი) და მისი საჯაროობა: სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი სასწავლო განრიგის (ცხრილის) მიხედვით. სტუდენტთა ინტერესების დაცვის მიზნით, ცხრილი არის საჯარო, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და ხელმისაწვდომია ელექტრონულად.
- გაცდენილი საათების აღდგენა: სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ობიექტური გარემოებების გამოწვევის შემთხვევაში (მაგ. მასწავლებლის გაცდენა), „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური უზრუნველყოფს საგაკვეთილო ცხრილში კორექტივების შეტანას და გაცდენილი საათების აღდგენას სტუდენტებთან შეთანხმებული ოპტიმალური გრაფიკით, რათა არ მოხდეს მათი ზედმეტი გადატვირთვა.
- სტუდენტთა გამოკითხვა და უკუკავშირი: დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა პერიოდული გამოკითხვისა და ანკეტირების სისტემა. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, კოლეჯი მოქნილად რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებებზე, რაც გულისხმობს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას ან/და დამატებითი კონსულტაციების დანიშვნას.

დოკუმენტური დადასტურებით, კოლეჯის შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილ მართვას და სრულად პასუხობს პროფესიულ სტუდენტთა შემხვედრ საჭიროებებს.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.2 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

2.4.1.3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 2-ის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სწავლების მეთოდების განსაზღვრას, როგორც პროგრამის შემადგენელ ნაწილს, ხოლო მუხლი 42 ადგენს კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესს, რითაც სტუდენტებსა და მასწავლებლებს უზრუნველყოფილი აქვთ ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერული ტექნიკის ხელმისაწვდომობა სასწავლო პროცესში.
პროგრამის მოდულების შინაარსის ანალიზი ადასტურებს, რომ სწავლება ხორციელდება მრავალფეროვანი, თანამედროვე და აქტიური ჩართულობის მეთოდების გამოყენებით: ინტერაქციული/ინტერაქტიული ლექცია, პროფესიული განხილვები და დისკუსია, თვალსაჩინოებების დემონსტრირება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, როლური თამაში და ვიდეომასალის ყურება. ცოდნისა და უნარების შეფასებისას აქტიურად გამოიყენება პრეზენტაციის წარდგენა, წერითი მეთოდი (ღია ან დახურული ტიპის ტესტირება), ზეპირი გამოკითხვა და დისკუსიაში მონაწილეობა, ხოლო ცალკეულ მოდულებში პირდაპირ არის გათვალისწინებული ცოდნის დადასტურების ელექტრონული ფორმაც (ელექტრონულად ჩატარებული გამოკითხვა/ნამუშევარი).

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით პროგრამის მოდულები ითვალისწინებენ სპეციალიზებული საინჟინრო/საპროექტო პროგრამული უზრუნველყოფისა და თანამედროვე საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების პრაქტიკულ გამოყენებას, რაც დარგისთვის დამახასიათებელ რეალურ სამუშაო პირობებთან მიახლოებას უზრუნველყოფს და სტუდენტებს სათანადო ტექნიკურ კომპეტენციებს უყალიბებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა დაწესებულების მზადყოფნა საჭიროების შემთხვევასი განახორციელოს დისტანციური სწავლება. ელექტროობის პროგრამაზე (4 მოდულისთვის) დაშვებულია სწავლების დისტანციური ფორმით განხორციელება. კოლეჯს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებული აქვს დირექტორის მიერ დამტკიცებული „დისტანციური სწავლების, შეფასების და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“. მატერიალურ-ტექნიკური დათვალიერებით დადასტურდა, რომ კოლეჯს შესყიდული და აქტიური აქვს დისტანციური სწავლების ლიცენზირებული Zoom პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სინქრონული ონლაინ-მეცადინეობების ჩატარებას, ვიდეოჩაწერას და დასწრების ავტომატურ აღრიცხვას. დისტანციურის სწავლების წესის თანახმად, დისტანციური სასწავლო პროცესის მართვასა და ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა და პროცესის წარმართვა ხორციელდება შემდეგი მექანიზმებით:

- სასწავლო პროცესის ადმინისტრირება: სწავლება მიმდინარეობს სინქრონულ რეჟიმში (Zoom-ის მეშვეობით), სადაც სავალდებულოა ელექტრონული დასწრების აღრიცხვა, ვიდეოჩაწერა და მასალების არქივაცია.
- ხარისხის შიდა კონტროლი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ონლაინ საგაკვეთილო პროცესზე გეგმურ/არაგეგმურ დასწრებას (მონიტორინგს), ონლაინ შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას და სტუდენტთა პერიოდულ გამოკითხვას ციფრული სწავლების ხარისხის შესაფასებლად.
- მხარდაჭერა და უსაფრთხოება: კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალისა და სტუდენტების ტექნიკურ მხარდაჭერას (ინსტრუქტაჟს), ხოლო პროცესში მკაცრად არის დაცული პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება (მათ შორის, ვიდეოჩანაწერების შენახვისა და დამუშავების წესები).

დისტანციური სწავლების წესის შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელთა სავალდებულო მხარდაჭერასა და კონსულტირებას ონლაინ-პლატფორმის ციფრული ინსტრუმენტებისა და დისტანციური სწავლების მეთოდების პრაქტიკული გამოყენების მიმართულებით, რაც გარანტიას ქმნის სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისთვის. კოლეჯის დისტანციური სწავლების წესი სტუდენტის ცოდნისა და უნარების დადასტურება/შეფასების პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელ პირობად განსაზღვრავს სტუდენტის ფიზიკურ ყოფნას კოლეჯის სივრცეში.

ინდიკატორთან შესაბამისობის დასაბუთებისთვის დამატებით აღსანიშნავია კოლეჯის პრაქტიკა პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით რაც ხელს უწყობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენციების განვითარებას და სწავლების პროცესში თანამედროვე პედაგოგიკური მიდგომებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას. 2023-2026 წლებში კოლეჯში, ასევე კოლეჯის წარმომადგენლების მონაწილეობით, განხორციელდა არაერთი ტრენინგი, ვორქშოპი და პროფესიული განვითარების სხვა აქტივობა, რომლებიც მოიცავდა სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს, ციფრული და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებას, ინკლუზიური განათლების პრინციპებს, საკვანძო კომპეტენციებისა და მდგრადი განვითარების მიზნების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას, ასევე ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული განათლების თანამედროვე მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული აქტივობები

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.3 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

2.4.1.4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

კოლეჯში დანერგილია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 6 ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესს, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და აღწერს პროფესიული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისაღწევ სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს, სტუდენტზე ორიენტირებული დროის დაგეგმვის გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება გათვალისწინებულია სტატუსაღდგენილი სტუდენტის, მობილობით ჩარიცხული პირის (რომლის მიღწეული სწავლის შედეგები განსხვავდება მიმღები დაწესებულების მოთხოვნებისგან) ან საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილების შემთხვევაში თუ სტუდენტს სჭირდება ინდივიდუალური მიდგომა საკუთარი სასწავლო გზის გასაგრძელებლად.

ამასთან, წესის მუხლი 44 სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, სწავლის შედეგის მიღწევა დაადასტურონ არა მხოლოდ მიმდინარე შეფასების გზით, არამედ წინმსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული შედეგების აღიარებითაც (ჩათვლა), რაც ასევე ითვალისწინებს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გამოცდილებას და სასწავლო ტრაექტორიას. გარდა ამისა, წესის მუხლი 29 ავალდებულებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსს, საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტებს დაუთმოს დამატებითი დრო, რაც ასევე ემსახურება ინდივიდუალური ტემპისა და საჭიროებების გათვალისწინებას სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.4 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

შპს „ორიენტირისა" და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" შორის 2026 წლის 18 მაისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეები შეთანხმდნენ პარტნიორობაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა" ფარგლებში. ვიზიტის პროცესში გამოიკვეთა, რომ ხელშეკრულებაში საჭირო იყო რიგი ასპექტების დაზუსტება. კერძოდ, ერთდროულად მისაღები სტუდენტების რაოდენობა, მოდულის საათობრივი დატვირთვა და სტუდენტთა სწავლებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდშივე მხარეებმა ოპერატიულად უზრუნველყვეს ხელშეკრულების განახლება. 2026 წლის 22 ივნისს გაფორმებულ ახალ რედაქციაში დაზუსტდა, რომ კომპანია უზრუნველყოფს ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის სწავლებასა და პრაქტიკულ მომზადებას მოდულზე „ელექტრული ტექნოლოგია" (სწავლის შედეგი 5, 20 საათი) და კისრულობს ვალდებულებას გამოყოს პასუხისმგებელი პირი სტუდენტთა სწავლების პროცესის წარმართვისთვის. ხელშეკრულება ძალაშია 2030 წლის 1 იანვრამდე და მისი ცალმხრივად შეწყვეტა უშუალოდ სასწავლო პროცესის პერიოდში დაუშვებელია, რაც სტუდენტთა სტაბილური პრაქტიკული მომზადების გარანტიას წარმოადგენს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი უშუალო პრაქტიკის ობიექტზე, სადაც ექსპერტებმა დაათვალიერეს ფიზიკური სივრცე და ინფრასტრუქტურა, სადაც წარიმართება კოლეჯის სტუდენტების სწავლების პროცესი. ამასთანავე, ჩატარდა მიზნობრივი ინტერვიუები სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების მენეჯერთან და სტუდენტთა სწავლების პროცესზე პასუხისმგებელ პირთან. გასაუბრების შედეგად დადასტურდა პარტნიორი ორგანიზაციის მაღალი ინსტიტუციური მზაობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. კომპანიამ გამოხატა სრული მზადყოფნა, საკუთარი წვლილი შეიტანოს პროფესიული განათლების განვითარებაში და აქტიურად ჩაერთოს შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტური კვალიფიკაციის მქონე (ელექტროობის) საკადრო რესურსის მომზადების პროცესში.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.5 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯში დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა" სპეციფიკის შესაბამისი დოკუმენტი, „სასწავლო გარემოში ელექტრულ სტენდებთან პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხო მუშაობის ინსტრუქცია", რომელიც დარგისთვის დამახასიათებელი რისკების (ელექტროდენით დაზიანების საფრთხე) გათვალისწინებით განსაზღვრავს უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის კონკრეტულ მექანიზმებს.

ინსტრუქციის:

მუხლი 1-ის თანახმად, ლაბორატორიაში სამუშაოდ დაიშვება მხოლოდ ის პროფესიული სტუდენტი, რომელმაც გაიარა უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟი პროგრამის ხელმძღვანელის/პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ, მოდულების დაწყებამდე.

მუხლი 2: ადგენს მუშაობის დაწყებამდე უსაფრთხოების მოთხოვნებს (სტენდისა და სადენების მთლიანობის ვიზუალური შემოწმება, სველი ხელებით/ტენიანი ტანსაცმლით მუშაობის აკრძალვა, დენგამტარი აქსესუარების მოხსნა),

მუხლი 3: მუშაობის პროცესში დაცვის წესებს (სქემის აწყობა-დაშლა მხოლოდ გამორთულ სტენდზე, დენის წყაროსთან მიერთება მხოლოდ მასწავლებლის თანხმობით, ჩართული სტენდის მეთვალყურეობის გარეშე დატოვების კატეგორიული აკრძალვა), ხოლო,

მუხლი 4 განსაზღვრავს მოქმედებებს საავარიო სიტუაციებში, სტენდის დაუყოვნებლივ გამორთვას, მასწავლებლის ინფორმირებას, დაზარალებულის დენის წყაროდან გათავისუფლებას მხოლოდ დამცავი (დიელექტრიკული) საშუალებების გამოყენებით და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებას.

ამგვარად, კოლეჯში სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ უსაფრთხოების ნორმები მორგებულია კონკრეტულად ელექტროტექნიკური დარგის სპეციფიკურ რისკებზე და ცნობილია/ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის პრაქტიკული მეცადინეობების დაწყებამდე.

კოლეჯში ვიზიტის ეტაპზე მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება, მათ შორის C სასწავლო გარემოში, სადაც შესასვლელ კედელზე განთავასებული იყო აღნიშნული უსაფრთხოების წესი.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.6 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან;
- დისტანციური სწავლების წესი;
- სასწავლო გარემოში ელექტრულ სტენდებთან პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხო მუშაობის ინსტრუქცია;
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯში დანერგილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის მოთხოვნებს, რასაც სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი რამდენიმე მექანიზმით უზრუნველყოფს. ამ წესის მუხლი 47-ის თანახმად, მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები გადის სავალდებულო ვალიდაციას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის მიერ, პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და დარგის სპეციალისტთან ერთად. მოწმდება ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარე, საკითხების დაბალანსებულობა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, ხარვეზის შემთხვევაში ინსტრუმენტი უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს შესწორებისთვის. ვალიდაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში ინსტრუმენტს ენიჭება რეგისტრაციის ნომერი და დასტურდება წარწერით, რომ ის გამოსაყენებელია სტუდენტთა შეფასებისთვის. ეს უზრუნველყოფს სისტემის ვალიდურობასა და სანდოობას.

გამჭვირვალობა მიიღწევა იმით, რომ შეფასების ინსტრუმენტი წინასწარ მკაფიოდ აღწერს შესრულების კრიტერიუმებს, შეფასების მეთოდსა და სქემას, დავალების შესასრულებლად საჭირო პირობებსა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობებს, რომლებიც წინასწარ ცნობილია სტუდენტისთვის. სამართლიანობასა და ობიექტურობას კი უზრუნველყოფს მუხლი 46-ით გათვალისწინებული აპელაციის პროცედურა, სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს შეფასების შედეგი, ხოლო საჩივარს განიხილავს დირექტორის მოადგილე იმ პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით, რომელიც არ მონაწილეობდა თავდაპირველი შეფასების პროცესში, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.1 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

2.4.2.2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

შპს „ორიენტირში“ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ობიექტურობა, ვალიდურობა და სანდოობა გარანტირებულია დაწესებულებაში მოქმედი „ვერიფიკაციის მექანიზმების“ მარეგულირებელი დოკუმენტით. კოლეჯში დანერგილია შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც ხორციელდება სამ ფაზად:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შეფასებამდე (პრევენციული ვერიფიკაცია): ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების (ტესტები, კაზუსები, პრაქტიკული დავალებები) წინასწარ ექსპერტიზას მათი მოდულის სწავლის შედეგებთან და შესრულების კრიტერიუმებთან შესაბამისობის (ვალიდურობის) დადგენის მიზნით.
2. შეფასების პროცესში (მიმდინარე ვერიფიკაცია): კონტროლდება შეფასების გარემოს ადეკვატურობა, დროის საკმარისობა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, მასალებისა და ნედლეულის შესაბამისობა, ასევე სტუდენტთა წინასწარი ინფორმირებულობა.
3. შეფასების შემდგომ (დეტალური ვერიფიკაცია): ხორციელდება სტუდენტთა ნამუშევრების/მტკიცებულებების შერჩევითი შემოწმება. ფასდება მტკიცებულებათა საკმარისობა, ავთენტურობა, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების სისწორე და შედეგების ასახვის სიზუსტე.

ვერიფიკაციის პროცედურა სრულდება შესაბამისი დასკვნის გაფორმებით, რაც საფუძველია შეფასების სისტემის მუდმივი სრულყოფისთვის. დოკუმენტური დადასტურებით, კოლეჯს გააჩნია ქმედითი შიდა მექანიზმი, რაც სრულად გამორიცხავს შეფასების სუბიექტურობას.
ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით შესწავლილ იქნა კოლეჯში სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიმართულებით არსებული პრაქტიკა სხვა (მიმდინარე) პროგრამების მაგალითზე. აღნიშნულით სრულად დადასტურდა დაწესებულების მიერ ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრული პროცედურებისა და მოთხოვნების რეალური, პრაქტიკული შესრულება.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.2 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

კოლეჯში დანერგილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესი, რომელსაც სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დეტალურად აწესრიგებს. ამ წესის მუხლი 23-ის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე. მტკიცებულებები (სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული დადასტურება) თავსდება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადაეცემა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ სამსახურს. მტკიცებულებები ინახება ამ სამსახურის მიერ მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით, თითოეული მოდულის მიხედვით ცალ-ცალკე, რის შემდეგაც ხორციელდება მათი განადგურება კოლეჯის საქმისწარმოების წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

რაც შეეხება უშუალოდ შეფასების უწყისებს, წესის მუხლი 49 ადგენს, რომ სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მტკიცებულებების, არამედ თავად შეფასების შედეგების დადასტურების დოკუმენტების გრძელვადიან ხელმისაწვდომობასაც

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 45 ცალსახად ადასტურებს, რომ შეფასების შედეგები ემსახურება სტუდენტთა შემდგომ განვითარებას, რასაც რამდენიმე მექანიზმი უზრუნველყოფს. პირველ რიგში, წესი განასხვავებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. მუხლი 45.3-ის თანახმად, განმავითარებელი შეფასება, რომელიც საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია, წარმოადგენს სწავლის პროცესის მუდმივ შეფასებას, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკის კონტროლი და მისთვის დახმარების გაწევა უკუკავშირის მიწოდების გზით, ანუ შეფასების შედეგი უშუალოდ გამოიყენება სტუდენტის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, ჯერ კიდევ საბოლოო შეფასებამდე.

ამასთან, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგი ავტომატურად აქტიურდება, როგორც სტუდენტის შემდგომი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმი: მუხლი 45.10-ის თანახმად, სტუდენტს უფლება აქვს მაქსიმუმ 2-ჯერ გავიდეს განმეორებით გამოცდაზე, რისთვისაც მუხლი 45.11-ის მიხედვით მასწავლებელი ვალდებულია შეიმუშაოს ახალი შეფასების ინსტრუმენტი (იგივეს გამოყენება დაუშვებელია), რაც სტუდენტს რეალურ შესაძლებლობას აძლევს, განმავითარებელი შეფასებისას მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, ხელახლა მოემზადოს და გააუმჯობესოს შედეგი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტმა ვერც განმეორებითი მცდელობებით დაადასტურა შედეგი, წესი ითვალისწინებს მოდულის ხელახლა გავლის შესაძლებლობას პროგრამის დასრულებამდე (მუხლი 45.14), ხოლო თუ ეს მოდული წინაპირობას წარმოადგენდა სხვა მოდულისთვის , მუხლი 45.15-ის თანახმად დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი დაჩქარებულ რეჟიმში ხელახლა შეისწავლის მოცემულ მოდულს. ეს მექანიზმი ნათლად აჩვენებს, რომ შეფასების შედეგი (განსაკუთრებით უარყოფითი) პირდაპირ განსაზღვრავს სტუდენტის შემდგომი ინდივიდუალური სასწავლო გზის დაგეგმვას და მის პროფესიულ განვითარებას.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.3 -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან.
- კოლეჯში მოქმედი შეფასებისა და ვერიფიკაციის პრაქტიკის ამსახველი დოკუმენტაცია სხვა მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მაგალითზე.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
თარიღი: **05.08.2026**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: